ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა

№ 76

ქალაქი ქუთაისი 29 ნოემბერი 2023 წელი

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე უნებართვო
გარე ვაჭრობის ფაქტების აღკვეთისას სამართალდარღვევის საგნის
(საქონლის) კონფისკაციის შედეგად მიღებული ქონების განკარგვის
წესის დამტკიცების შ ე ს ა ხ ე ბ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „მ“ ქვეპუნქტის, 118-ე მუხლის მე-3 პუნქტის, საქართველოს კანონის „საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი“ 29-ე მუხლის მე-3 ნაწილისა და 153^3 მუხლის შენიშვნის მე-4 ნაწილის საფუძველზე, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულო **ა დ გ ე ნ ს:**

მუხლი 1. დამტკიცდეს ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე უნებართვო გარე ვაჭრობის ფაქტების აღკვეთისას სამართალდარღვევის საგნის (საქონლის) კონფისკაციის შედეგად მიღებული ქონების განკარგვის წესი დანართის შესაბამისად.

(ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე უნებართვო
გარე ვაჭრობის ფაქტების აღკვეთისას სამართალდარღვევის
საგნის (საქონლის) კონფისკაციის შედეგად მიღებული ქონების
განკარგვის წესი დადგენილებას თან ერთვის)

მუხლი 2. დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე ირაკლი შენგელია

საქართველო ქ. ქუთაისის
საკრებულო
მას. № 90
1 12 2023 წ.

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს 2023 წლის 29 ნოემბრის
№76 დადგენილების დანართი

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე უნებართვო გარე ვაჭრობის ფაქტების აღკვეთისას სამართალდარღვევის საგნის (საქონლის) კონფისკაციის შედეგად მიღებული ქონების განკარგვის წესი

მუხლი 1.

1. ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე უნებართვო გარე ვაჭრობის ფაქტების აღკვეთისას სამართალდარღვევის საგნის (საქონლის) კონფისკაციის შედეგად მიღებული ქონების განკარგვის წესის (შემდგომ – წესი) მიზანია განისაზღვროს ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე უნებართვო გარე ვაჭრობის ფაქტების აღკვეთისას სამართალდარღვევის საგნის (საქონლის) კონფისკაციის შედეგად მიღებული ქონების განკარგვის პროცედურები.

2. კონფისკაციის შედეგად მიღებული ქონება (შემდგომ – ქონება) წარმოადგენს ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკუთრებას.

მუხლი 2.

1. ამ წესის პირველი მუხლის მე-2 პუნქტით განსაზღვრული ქონება ექვემდებარება პირდაპირი განკარგვის წესით, უსასყიდლოდ გადაცემას იმ იურიდიული პირებისათვის, რომელთა საქმიანობის მიზანს წარმოადგენს სოციალურად დაუცველი, მზრუნველობამოკლებული, თავშესაფარში მცხოვრები ან სხვა გარემოების გამო სპეციალური საჭიროებების მქონე პირთათვის მომსახურების გაწევა/დახმარება.

2. ამ წესის პირველი მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული ის ქონება, რომელიც არ ექვემდებარება გადაცემას ან ვერ გამოვლინდა ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული საფუძვლებით ქონების მიმღები პირი, უნდა განიკარგოს ან განადგურდეს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, სათანადო აქტის შედგენით.

მუხლი 3.

1. ამ წესის მე-2 მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრული დაწესებულებისათვის ქონების გადაცემაზე უფლებამოსილია ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის სახელით, არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიულ პირი „ქუთაისის მუნიციპალური ინსპექცია“ (საიდენტიფიკაციო კოდის №412767830).

2. ქონების მიმღებს ქონება გადაეცემა შესაბამისი მიღება – ჩაბარების აქტის საფუძველზე, რომელსაც ხელს აწერენ ქონების მიმღებისა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „ქუთაისის მუნიციპალური ინსპექციის“ (საიდენტიფიკაციო კოდის №412767830) უფლებამოსილი წარმომადგენელი (თანამშრომელი).

საკრებულოს თავმჯდომარე ირაკლი შენგელია